საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/407

ქ. ბათუმი 25 აპრილი, 2023 წ.

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სატყეო საქმე" (მეოთხე დონე) ზოგიერთი სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მამუკა გოგელიას 2023 წლის 20 აპრილის N436272 სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი იქნა ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სატყეო საქმე (მეოთხე დონე) იმ მსმენელთა სია, რომლებიც არ გამოცხადდნენ შუალდეურ შეფასებაზე.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის და 661–ე მუხლის მე–6 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სატყეო საქმე" შუალედური გამოცდის შეფასების კომისიის 2023 წლის 25 მარტის N02 სდომის ოქმის; ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის №01-08/986 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "საფინანსო სერვისები" (მე-3 დონე, 2022 წლის საშემოდგომო მიღება) და "სატყეო საქმე" (მე-4 დონე, 2022 წლის საშემოდგომო მიღება) ადმინისტრირების ჯგუფის შექმნის შესახებ" 2023 წლის 10 მარტის №01-02/48 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "საფინანსო სერვისები" (მე-3 დონე, 2022 წლის საშემოდგომო მიღება) და ,,სატყეო საქმე" (მე-4 დონე, 2022 წლის საშემოდგომო მიღება) პროფესიულ სტუდენტთა შუალედური შეფასების კომისიის ჯგუფის შექმნის, შეფასების ადგილის და დროის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 17 მარტის №01-02/52 ბრძანების და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის (დირექტორის მ.შ) 2023 წლის 20 აპრილის N436272 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სატყეო საქმე (მეოთხე დონე) იმ პროფესიულ სტუდენტთა *(დანართი №1)* მიმართ, რომლებიც არ გამოცხადდნენ შუალედურ შეფასებაზე (საფუძველი" ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის №01-08/986 ბრძანების მუხლი 5 ,,განმეორებითი შუალედური შეფასება").

2. დაინტერესებულ პირებს *(დანართი №1)* ადმინისტრაციულ წარმოებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, განემარტოთ, რომ შეუძლიათ 3 დღის ვადაში წარმოადგინონ ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია) წერილობითი მოსაზრებები გამოსაცემ სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით.

3. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის შეწყვეტის შესახებ ბრძანება გამოიცეს 2023 წლის 27 აპრილის შემდეგ, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საქმის გარემოებების დეტალურად გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე.

4. ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ოფიციალური გაცნობის მიზნით, ინდივიდუალურად ეცნობოს შესაბამის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს (ბრძანებაში აღნიშნულ სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით), რომლის უზრუნველყოფა დაევალოს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ასევე განთავსდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა პირად საქმეში.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს.

7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სატყეო საქმე" (მეოთხე დონე) ზოგიერთი სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 25 აპრილის № 01-08/407 ბრძანების

დანართი №1

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სატყეო საქმე" (მეოთხე დონე) პროფესიულ სტუდენტთა სია, რომლებმაც ვერ შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები

№	სახელი და გვარი	პირადი№	ჩარიცხვის ბრძანების № და თარიღი/ ხელშეკრულების № და თარიღი	მისამართი
1	მარიამ დავითაძე		N01-08/983; 07.11.2022; ხელშ. N20-04/103; 03.11.2022	ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ. N 6, ბ. 43
2	გივი გიორგაძე		01-08/920; 10.10.2022; ხელშ. N 20-14/73; 06.10.2022	ქალაქი ქობულეთი, თხილაიშვილის ქუჩა, N 25
3	გიორგი მოწყობილი		01-08/920; 10.10.2022; ხელშ. N20-04/79; 06.10.2022	ქობულეთი ს. წყავროკა მე–13 ქ. N4
4	კახა შავაძე		01-08/920; 10.10.2022; ხელშ. N20-04/66; 06.10.2022	ხულო ს. შუასოფელი 1–ლი VI ჩიხი N3